ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1880407

ნომერი: AR1303104

თარიღი : 20.04.2015

გაცემის თარიღი : 08.05.2015

გაცნობის თარიღი : 08.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯავახეთის ქუჩა N24ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კირილე მორჩილაძე პ/ნ 01010006347
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ მ/რ კორპ.5

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1101500
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.01.2014

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2015 წლის 20 აპრილს შემოსული AR1303104 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩა , N 24ა, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი № 01.19.36.001.185), კომერციული შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 06 აპრილის N8-12/15075497-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

"მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვოპირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. N57 დადგენილების 62-ე მუხლისპირველი პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის თანახმად - "ქ. თბილისში

(გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებულიმშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებსმშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთსუარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაშიმიღებაზე უარის თქმისშესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობისნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებულიმშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისიდასაშვებობისდადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებულისამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითიფორმით.

განხორციელებულიმშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითიდოკუმენტაცია. დადასტურებისწერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდადაერთოს ამ დადგენილებითგანსაზღვრულისამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს;"

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩა , N 24ა, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი № 01.19.36.001.185), კომერციული შენობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 06 აპრილის N№-12/15075497-16 ბრძანებაში დარღვევებით განხორციელებულიმშენებლობის ქალაქგეგმარებითმოთხოვნებთანშესაბამისობასდა მათ დასაშვებობასობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაშიმიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დასტური განიხილება პროექტის შეთანხმებასადა მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 30/01/2014 წლის 1101500 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.